პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

15 დეკემბერი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 239 (9906) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძმეთა დასახმარებლად

## სპორტსმენებს ემადლიერებიან

**როგორც** ადრე გაცნობეთ, მიწისძვრისაგან დაზარალებული მოძმე სომხეთის მოსახლეობის დასახმარებლად საქართველოდან სტუდენტთა რამდენიმე რაზმი გაემგზავრა სპიტაკში. მათ შორის ჩვენი ფიზკულტურის ინსტიტუტის 33-კაციანი ჯგუფიც არის. გუშინ სპიტაკიდან დაბრუნდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი გია ოქრიაშვილი. აი, რა თქვა მან: „პირველ ყოვლისა, ჩვენმა სტუდენტებმა ყურადღება მიიქციეს იმით, რომ ყოველმხრივ მომზადებულნი (კარვები, სპეცტანსაცმელი, საკვები) ჩავიდნენ მომხდარი უბედურების ადგილზე. მათი ვაჟკაცობით ყველა აღფრთოვანებულია. პირველ დღეებში ისინი მუშაობდნენ ნანგრევებში მომწყვდეული ადამიანების გასათავისუფლებლად, მაგრამ მას შემდეგ, რაც დატრიალებული ტრაგედიის ზონაში თავი მოიყარეს საბჭოთა ქვეყნისა და უცხოეთის სპეცჯგუფებმა, სპორტსმენთა რაზმს სამუშაო შეუცვალეს. 11 დეკემბრიდან ისინი კარვებს დგამენ დროებით უსახლკაროდ დარჩენილთათვის. ბიჭები დღეში 15-20 კარავს მართავენ. ნავარაუდებია, რომ ისინი აქ იმუშავებენ 19 დეკემბრამდე. შემდეგ, თუ საჭირო გახდა, ამ ჯგუფს ფიზკულტურის ინსტიტუტის ახალი რაზმი შეცვლის“.

**სპორტული ნაწარმის ექსპერიმენტული ფაბრიკის კოლექტივმა გუშინ სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულ მოძმე სომეხ ხალხს 50 ათასი მანეთის სხვადასხვა ასორტიმენტის სპორტული ნაწარმი გაუგზავნა.**



„თბილისის“ ფოტოკორესპონდენტის შალვა გოქაძის სურათზე, რომელსაც აქვე გთავაზობთ, სწორედ ამ ნაწარმის გაგზავნის მომენტია აღბეჭდილი.

ძიუდოში სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატის წინ



## თბილისი მზადაა ჩემპიონატისათვის

**დიდი** ძიუდოს წარმომადგენლები თბილისში იკრიბებიან! მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენები იასპარეზებენ სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც 17 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყება.

ჩვენს დედაქალაქში ყოველდღე ჩამოდიან სპორტული დელეგაციები პლანეტის სხვადასხვა კუთხიდან. მათ გულღიად, ჩვეული სტუმართმოყვარეობით ეგებება თბილისი. სსრ კავშირის ნაკრების გარდა უკვე თბილისში არიან ჩემპიონატის მონაწილეები ავსტრალიიდან, ბელგიიდან, კუბიდან, კანადიდან, იაპონიიდან, პოლონეთიდან, ჰოლანდიიდან, საფრანგეთიდან და იტალიიდან. საქართველოს პროფკავშირთა სპორტულ საზოგადოებაში, რომელიც ამ დიდი ასპარეზობის მასპინძელია, ყველაფერს აკეთებენ რომ ჩემპიონატი მაღალ დონეზე ჩატარდეს.

ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის (თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ჩხეიძე) გამუდმებული ზრუნვა-ყურადღებით მთლიანად და დადგენილ ვადებში მოგვარდა ჩემპიონატის მზადებასთან და ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

თბილისი მზადაა ჩემპიონატისათვის.

**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**

**ძიუდოში სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით პრესკონფერენცია ჩატარდება პარასკევს, 16 დეკემბერს, 17 საათზე თბილისის სპორტის სასახლეში.**

**პრესკონფერენციის შემდეგ იქვე გაიცემა ჟურნალისტთა საკრედიტაციო ბარათები.**

## „დინამოს“ პლენუმზე

ახლებურად, სადღეისო მოთხოვნების შესაბამისად საქმის გაძღოლა ძირითადად დამოკიდებულია ხელმძღვანელ მუშაკზე. მისი პოზიცია განსაზღვრავს მუშაობის სტილს ყველა რგოლში. ეს ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია, რაც კარგად ესმით სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ახლანდელ ხელმძღვანელებს. ასეთი შესავლის უფლებას გვაძლევს ამ საზოგადოების მიერ ბოლო ხანებში გაწეული მუშაობა და შემდგომში საქმიანობის ძირეულად გარდაქმნისათვის დასახული გეგმები. „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელთა ასეთი პოზიცია მკაფიოდ გამოიკვეთა პლენუმზე ამ საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ჯ. მიქელაძის გამოსვლაში.

ორგანიზაციულ საქმიანობაში არსებული ხარვეზები, ის, რომ, ქართულ სპორტში დიდი წვლილის მიუხედავად, დინამოელებს მეტი მოეთხოვებათ და შეუძლიათ კიდეც, ლაიტმოტივად გასდევდა მოხსენებას. ცალკეული სპორტსმენებისა და გუნდების, მათ შორის ფეხბურთელებისა და კალათბურთელების ბოლოდროინდელი შედეგების ანალიზისას პირუთვნელად ითქვა ჩავარდნების გამომწვევ მიზეზებზე, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა. მოხსენებაში კონკრეტული პიროვნების უნიათობას გაესვა ხაზი, როცა ლაპარაკი იყო საზოგადოების საქალაქო და რაიონულ საბჭოებში სპორტული სექციების, მასობრივი სპორტისა და გამაჯანსაღებელი მუშაობის არადამაკმაყოფილებელ დონეზე.

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

## კიდევ ორი მატჩი

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა გუნდმა პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ორი მატჩი ჩაატარა შინ. ამჯერად მისი მეტოქე იყო სიმფეროპოლის „სპარტაკის“ საკმაოდ ძლიერი კოლექტივი, რომელიც შარშან უძლიერესთა კვარტეტში მოხვდა.

პირველი შეხვედრის დასაწყისი მასპინძლების უპირატესობით აღინიშნა, რაც ტაიმის ბოლომდე შეინარჩუნეს — 47:36. შესვენების შემდეგ ინიციატივას ისინი ერთხანს კიდევ ფლობდნენ, მაგრამ შემდგომში თამაში გათანაბრდა — 63:63, 67:67. კრიტიკულ მომენტში ლიდერობა ითავა ოლგა კორკოტაძემ, რომლის ენერგიულმა და შედეგიანმა მოქმედებამ თბილისელებს გამარჯვება მოუტანა — 76:70. გამარჯვებულთაგან საუკეთესო ბომბარდირები იყვნენ: მედეა მხეიძე — 24 ქულა, ნატო ლორია — 19 და ოლგა კორკოტაძე — 17.

მეორე მატჩი სტუმრებმა უფრო მონდომებით ჩაატარეს. პირველი ტაიმის ბოლო წამზე ნელდანოვას ზუსტმა სამქულიანმა სროლამ დააწინაურა „სპარტაკი“ — 40:39. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა მატჩის მეორე ნახევარიც, მაგრამ გამარჯვება ამჯერადაც თბილისის კალათბურთელებს ხვდათ წილად — 62:58. საუკეთესო სნაიპერები: ლორია — 22 ქულა, მხეიძე — 16.

პირველი წრის დამთავრებამდე ჩვენმა კალათბურთელებმა კიდევ 4 მატჩი უნდა ჩაატარონ, ოთხივე — შინ. ჯერჯერობით კი გუნდს 7 გამარჯვება აქვს.

## ორი პრიზიორი

**ჩელიაბინსკში** გამართულ ნორჩ მოცურავეთა (1974 წელს დაბადებულთა შორის) საკავშირო თასის გათამაშებაში სოხუმელმა თემურ გუგუბერიძემ („დინამო“) 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში (2.15,5) მესამე ადგილი დაიკავა. ასეთსავე წარმატებას მიაღწია მისმა თანაგუნდელმა თბილისელმა გია ბახტაძემაც. იგი მესამე იყო 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 4.44,0.

## ლიდერებმა ადგილები გაცვალეს

**პროფკავშირთა** სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს ახალგაზრდა ოსტატ მოჭადრაკე ქალთა შეჯიბრებას მთელი ტურნირის მანძილზე ელენა სედინა ლიდერობდა. იგი ხან ეულად, ხან სხვებთან ერთად, მოექცეოდა სათავეში გათამაშების ცხრილს, მაგრამ კიეველი ოსტატი ერთთავად მაინც სულ წინ გახლდათ. და აი, საკმარისი იყო, მას XI-XII ტურებში წარუმატებლად ეთამაშა, რომ ამით დაუყოვნებლივ ისარგებლა უახლოესმა მდევარმა ანჯელა ბელაკოვსკაიამ და ახლა, ბოლო ტურის წინ მთელი ქულით უსწრებს დაწინაურებულთა ჯგუფს, მათ შორის სედინასაც. ე. ი. შეიძლება ითქვას, რომ ბელაკოვსკაიას I ადგილი განაღდებული აქვს. მაგრამ თუ ოდესელი ოსტატი ბოლო ტურში დამარცხდა და მისმა უახლოესმა მდევრებმა გაიმარჯვეს, მაშინ იგი მათთან ერთად გაიყოფს I ადგილს და საქმეში დაუსწრებელი „ბრძოლა“ ჩაერევა. გამარჯვებულად ის გამოცხადდება, ვისაც უკეთესი კოეფიციენტი ექნება. მაგრამ ნუ გავუსწრებთ წინ მოვლენებს. დაველოდოთ მთელი ტურნირისა და კერძოდ, ბოლო ტურის ერთ-ერთი ცენტრალური პარტიის — ბელაკოვსკაია-ჯანჯღავას დამთავრებას, რომელსაც ორივე მხარისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. საქმე ისაა, რომ თბილისელი ოსტატობის კანდიდატიც მოჭადრაკეთა იმ ჯგუფში შედის, რომელნიც თითო ქულით ჩამორჩებიან ლიდერს. ვინც ამ შეჯიბრებას პირველივე დღიდან ადევნებს თვალს, შეამჩნევდა, რომ ნათია ჯანჯღავამ, ისე ვერ აიღო სტარტი, როგორც ეს ლიდერს შეეფერება. მაგრამ აი, ბოლო ხუთ ტურში მან 3,5 ქულა მოაგროვა და უკვე თამამად აცხადებს პრეტენზიას ერთ-ერთ საპრიზო ადგილზე.

ახლა კი ლიდერთა ჯგუფს წარმოგიდგენთ: ანჯელა ბელაკოვსკაია — 8,5 ქულა, ნათია ჯანჯღავა, ელენა სედინა, ტატიანა შუმიაკინა (ჩელიაბინსკი), ირინა უმანსკაია (მოსკოვი), მარინა იარმოლინსკაია (ოდესა) — 7,5-7,5.

ახლა გთავაზობთ XI-XII ტურების შედეგებს.

**XI ტური:** უმანსკაია-ხურციძე — 1:0, ველიხანლი-შუმიაკინა — 1:0, ლაგვილავა-ბელაკოვსკაია — 0:1, იარმოლინსკაია-სედინა — 1:0, ჯანჯღავა-სადუნიშვილი — 1:0, ლანჩავა-დომარკაიტე — 0,5:0,5, ტერელაძე-ქასოშვილი — 0,5:0,5.

**XII ტური:** ხურციძე-ქასოშვილი — 0,5:0,5, დომარკაიტე-ტერელაძე — 1:0, სადუნიშვილი-ლანჩავა — 0:1, სედინა-ჯანჯღავა — 0,5:0,5, ბელაკოვსკაია-იარმოლინსკაია — 0,5:0,5, შუმიაკინა-ლაგვილავა — 1:0, უმანსკაია-ველიხანლი — 0,5:0,5.

გუშინ მოეწყო VIII ტურის ორი გადადებული პარტიის დამთავრება. აი, მათი შედეგები: ქასოშვილი-იარმოლინსკაია — 0:1, დომარკაიტე-ლაგვილავა — 0:1.

გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ პრიზზე

## ფავორიტი არ ჩანს

ზაფხულის XXIV ოლიმპიურ თამაშებზე კუბის სპორტული დელეგაციის ჩაუსვლელობა, ალბათ, პირველ ყოვლისა, სეულის რინგს დაეტყო. დიახ, თავისუფლების კუნძულის სპორტსმენები ბოლო დროის კრივის „მოდის კანონმდებლები“ არიან და სარბიელზე მათმა არყოფნამ სულ სხვა კალაპოტით წარმართა ორთაბრძოლები. მაინც რით განსხვავდებოდა ის ტურნირი წინამორბედთაგან?



სპორტის ამ სახეობის თაყვანისმცემლებმა კარგად იციან, რომ კუბელები ტოტალური კრივის მიმდევრები არიან, რამაც მათ სახელი და დიდება მოუტანა. ოლიმპიურ ტურნირზე კი ამჯერად უფრო ბრძოლის „ძველი მოდა“ შემოიჭრა, რაც იმაში გამოიხატება, რომ სპორტსმენები, სწორხაზოვანი შეტევების ნაცვლად, ადრინდელ მანევრირებულ, სხვადასხვა სტრატეგიული გეგმით აღჭურვილ ბრძოლის ხასიათს ამჯობინებენ, აი, ისეთს, რასაც მოკრივეები სანახაობითი მიმზიდველობის გამო „ჭკვიან კრივს“ უწოდებენ. თუ რამდენად მისაღებია და პროგრესულია იგი, ეს, რა თქმა უნდა, თვით კუბელთა წინააღმდეგ ბრძოლებში უნდა გამოჩნდეს. ამიტომ თბილისის VII ახალგაზრდული საერთაშორისო ტურნირისადმი ინტერესი მასში კუბელ ჭაბუკთა მონაწილეობამაც განაპირობა. თუმცა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის, ჟიურის თავმჯდომარის მოადგილის ვლადიმერ გორდიენკოს აზრით, ეს ასპარეზობა, მონაწილეთა ასაკის გამო, ნათელ სურათს



ვერ მოგვცემს. ამ ორი კონცეფციიდან რომელი დამკვიდრდება და გაიკვლევს გზას საერთაშორისო რინგზე. დღეს „მხარეთა“ შანსებზე იქნებ ნაადრევიც იყოს ლაპარაკი, ანდა ბევრმა კუბელთა ბრძოლის მანევრი უფრო თანამედროვედ მიიჩნიოს. მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ მოდა, ფრანგები რომ ამბობენ, კარგა გვარიანად მივიწყებული წარსულის გახსენებაა. ამიტომ ნუ ავჩქარდებით დასკვნების გამოსატანად.

როგორც ითქვა, თბილისის რინგზე გამართულ შეხვედრებში დიდ

(იხ. მე-4 გვ.)

**ინფორმაცია**

ციურიხში, უეფა-ს შტაბ-ბინაში დღეს გაიმართება ევროპის საკლუბო გუნდების ტურნირების მეოთხედფინალური მატჩების წილისყრა.

როგორც ცნობილია, ამ საპატიო პრიზებისათვის ბრძოლას განაგრძობენ: ჩემპიონთა თასზე — ჰოლანდიის „ეინდჰოვენი“, გფრ-ის „ვერდერი“, თურქეთის „გალათასარაი“, რუმინეთის „სტიაუა“, შვეციის „გიოტებორგი“, საფრანგეთის „მონაკო“, იტალიის „მეხელენი“, მადრიდის „რეალი“ (ესპანეთი). თასების მფლობელთა თასზე — ბელგიის „მეხელენი“, ბუქარესტის „დინამო“ (რუმინეთი), იტალიის „სამპდორია“, გფრ-ის „აინტრახტი“, ბულგარეთის „სრედეცი“, დანიის „ორხუსი“, ჰოლანდიის „როდა“, შოტლანდიის „ჰარტი“, „ესპანეთის „ბარსელონა“. უეფა-ს თასზე — გფრ-ის „შტუტგარტი“, დრეზდენის „დინამო“ (გდრ), იტალიის „ნაპოლი“, სან-სებასტიანის „რეალი“ (ესპანეთი), შოტლანდიის „ჰარტი“, გფრ-ის „ბავარია“, რუმინეთის „ვიქტორია“, იტალიის „იუვენტუსი“.

ექსპერიმენტი თვითმიზანი არ არის

# უკუგებაზეც უნდა იზრუნონ

**ფოთში** მიმდინარე ეკონომიკური ექსპერიმენტი, რომელმაც თავის დროზე საქვეყნო აღიარება ჰპოვა, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებასაც შეეხო. პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტმა და საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 1984 წელს მიიღეს ერთობლივი დადგენილება „1985-1990 წლებისათვის ქ. ფოთის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომპლექსურ-მიზნობრივი განვითარების შესახებ". ეს დადგენილება ითვალისწინებს სპორტული ბაზების მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათ მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, კადრების აღზრდა-დამაგრებას, მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის სრულყოფას. ყოველივე ეს აუცილებლობით იყო განპირობებული — ქალაქში არსებული სპორტული ბაზები არ ვარგოდა, საცხოვრებელ რაიონებში თითო ოროლა მარტივი ტიპის მოედანი იყო, გამოუყენებელი იყო საწყლოსნო სპორტის განვითარებისთვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები. მწვრთნელებს ელემენტალური პირობები არ ჰქონდათ ნორმალური მუშაობისთვის, სტიქიურად ვითარდებოდა სპორტის სახეობები. ეს მაშინ, როცა ფოთი მდიდარი სპორტული ტრადიციების ქალაქია და აქ არაერთი სახელოვანი სპორტსმენი აღზრდილა.

ფოთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარისთვის, ოთარ ხომერიკისთვის ეს დადგენილება „სამაგიდო წიგნია". მას შეუდგენია ხუთწლიანი გეგმის გრაფიკი, რომელშიც სამი წლის განმავლობაში ბევრი უჯრედი შევსებულა (ეს ის, რაც გაკეთდა), ბევრი ობიექტიც მშენებლობის პროცესშია. რამდენიმე გრაფაში კითხვის ნიშანია — ეტყობა, ყველა საკითხი ვერ გადაწყდა, მაგრამ დღის წესრიგიდან მაინც არ მოხსნილა. მარტო წელს ფოთელებს გადაეცათ 12 მარტივი ტიპის კომბინირებული მოედანი, წინა ორ წელიწადში — რვა, ოთხი ასეთი ტიპის მოედანიც შენდება. სამხრეთ სანაპიროს ქუჩაზე, თითქმის უკაცრიელ ადგილას, მალე დამთავრდება მარტივი ტიპის მოედნის მშენებლობა. „მომავალი წლიდან აქ თერთმეტსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დაიწყება, — გვითხრა ოთარ ხომერიკმა. — ჩვენც ვისარგებლეთ შემთხვევით, სხვებს დავასწარით და, სანამ სხვა რამეს მოიფიქრებდნენ, მთავარ არქიტექტორთან შეთანხმებით თევზჭერის სამმართველოს ხელმძღვანელობამ ჩვენი თხოვნა ჩინებულად შეასრულა". აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. შეფმა ორგანიზაციებმა მართლაც ბევრი კარგი საქმე გააკეთეს ფოთში. საოკეანო თევზჭერის სამმართველომ (უფროსი ზურაბ ბოლქვაძე) რამდენიმე მარტივი ტიპის მოედნისა და წყალსათხილამურო კლუბის „აიას" აშენება ითავა. დღეს ეს ბაზა ერთ-ერთი საუკეთესოა საბჭოთა კავშირში. თევზჭერის სამმართველომ აქ ადმინისტრაციული სახლი, ელინგი, საზაფხულო სასტუმრო, საუნა, ტრიბუნა ააგო, ჩაის კომბინატის კოლექტივმა კი „აიას" სპორტდარბაზი მიუმატა და ახლა საცურაო აუზს აშენებს.

საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურმა (უფროსი ვალერი გეგიძე) ლენინის, ლიბკნეხტის, რეკვავას ქუჩებზე მარტივი ტიპის მოედნები, ცენტრალურ სტადიონზე ელექტროგანათება და ელექტროტაბლო მოაწყო, საიალქნო კლუბი კი ერთ-ერთ საუკეთესო სპორტულ ბაზად აქცია.

მეთევზეთა კოლმეურნეობა „კოლხეთმა" 200 ათასი მანეთი გაიღო იპოდრომის მშენებლობისათვის, ააშენა ორი მარტივი ტიპის მოედანიც. სპორტული ბაზების მშენებლობისთვის დიდძალი თანხები გაიღეს ჰიდრომექანიზმების ქარხნის კოლექტივმა, ხორცკომბინატმა, სამშენებლო ორგანიზაციებმა. ასე ერთსულოვნად მოეწყო მშვენიერი სანაპირო ზოლიც. შესანიშნავად არის ნაგები საჭადრაკო კლუბი „ნონა", საჭიდაო დარბაზი. მალე ამოქმედდება სპორტსაზოგადოება „დინამოს" სანიჩბოსნო ბაზა.

შეფი ორგანიზაციების საქმიანობას ამკობს ენთუზიასტების თავდადებული შრომაც. ფოთელები დიდად აფასებენ გურამ თურმანიძის, გურამ დოლბაიას, თამაზ ლაგვილავას და სხვათა საქმიანობას. შეიძლება ითქვას, რომ თევზჭერის სამმართველოს ყოფილმა უფროსმა გურამ დოლბაიამ და სპორტის ოსტატმა თამაზ ლაგვილავამ „ოქროს ტბის" ჭაობიან ნაპირზე საფუძველი ჩაუყარეს წყალსათხილამურო სპორტის განვითარებას. დღეს კლუბ „აიას" ჩვენი ქვეყნის ყველა წყალმოთხილამურე იცნობს — აქ წლის ნებისმიერ დროს შეხვდებით ქვეყნის ნაკრების წევრებსა და სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსულ გუნდებს.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: ქალაქის ადრინდელი ხელმძღვანელობის, პირადად საქალაქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის ბაკურ გულუას ინიციატივით ფოთში დაიწყო სპორტული ბაზების მშენებლობის ბუმი. ეს საქმე დღესაც ჩინებულად გრძელდება. საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის პეტრე ბერაიას მოწადინებით ქალაქს არაერთი შესანიშნავი ბაზა გადაეცა.

ერთი სიტყვით, ფოთში საგრძნობლად გაუმჯობესდა მდგომარეობა. საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე მოედნის ფართის გაანგარიშებით, ფოთი უსწრებს რესპუბლიკურ მაჩვენებელს. აქ სისტემატურად იგეგმება საკავშირო ტურნირები, განსაკუთრებით საწყლოსნო სახეობებში. გარსად გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის პირველობის ჩატარება საიალქნო სპორტში, 1991 წლისათვის ფოთის კანდიდატურა წარდგენილია წყალმოთხილამურეთა მსოფლიოს პირველობის სამასპინძლოდ. 1989 წელს დაგეგმილია საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება აკადემიურ ნიჩბოსნობაში. 30 ნოემბრის მონაცემებით, რესპუბლიკის მე-4 ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებში ფოთი მეორე ჯგუფის ქალაქებს შორის პირველ ადგილზე იყო და 2776 ქულით საგრძნობლად უსწრებდა მომდევნო ადგილზე მყოფ ქალაქს. ეს მაშინ, როცა აქ მოსახლეობა 50 ათას კაცს არ აღემატება. იქნებ სჯობდეს, ფოთელებს პირველ ჯგუფში ეასპარეზათ, რადგან იქაც არ იქნებოდნენ ბოლო ადგილზე.

მკითხველი ისე ნუ გაგვიგებს, თითქოს ფოთში ყველაფერი რიგზე იყოს ან მეტის გაკეთება საჭირო აღარაა. არა, აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გადასაწყვეტი. ყველას აღელვებს განათლების განყოფილების კომპლექსური სპორტული სკოლის მშენებლობა. მას ორი საცურაო აუზი და ორი სპორტთამაშების დარბაზი ექნება. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 824 ათას მანეთს აღწევს. გეგმით ეს ბაზა მომავალი წლისთვის უნდა ჩაბარდეს, მაგრამ მშენებლობა ჯერ საძირკველს არ ასცილებია. მშენებლებმა უარი თქვეს ძველი ტიპის კონსტრუქციების გამოყენებაზე, ამიტომ ახლა ხელახალი პროექტირება მიმდინარეობს. ქალაქში არ არის ძალოსნობის, მძლეოსნობის დარბაზები, იპოდრომს არა აქვს ტრიბუნა, საიალქნო კლუბს აკლია ნავები, ფორმები, სხვა ისეთი წვრილმანი ინვენტარი, რომელიც მხოლოდ სპორტის ამ სახეობისთვის არის საჭირო და სხვაგან ადვილად ვერ იშოვი. სპორტის მესვეურებს სხვა საზრუნავიც აქვთ — ძალიან ნელა ვითარდება სპორტის ეროვნული სახეობები, არადა, ვთქვათ, ქართული ჭიდაობისა და ცხენოსნობის განსავითარებლად აქ ყველა პირობა არსებობს.

თუ ადრე ფოთელები სპორტული მოედნების სიმცირეს უჩიოდნენ, ახლა სხვა საზრუნავი გაუჩნდათ — მათ დატვირთვის პრობლემა აღელვებთ. ეს არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა — ბევრგან მარტივი ტიპის მოედანი აშკარად დაუტვირთავია. რაშია საქმე, რა უშლის ხელს სპორტის მასობრიობას? მიზეზი მრავალია. შევჩერდეთ რამდენიმეზე. უნდა აღდგეს და გაუმჯობესდეს შიგასაქალაქო შეჯიბრებები უბნებსა, ქუჩებსა და საცხოვრებელ სახლებს შორის. მკვეთრად უნდა გარდაიქმნან მუშაობა შრომით კოლექტივებში მომსახურე ფიზკულტურის მეთოდისტებმა, თითქმის არაფერს აკეთებს კომუნალური განყოფილების შესაბამისი სამსახური. ქალაქის სპორტკომიტეტმა და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებამ უნდა დაგეგმონ მეტი მასობრივი ღონისძიებები, თავად უნდა დაინტერესდნენ შექმნილი მდგომარეობით. „ეს საკითხი ძლიერ გვაწუხებს — თქვა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ფოთოლა ქაჯაიამ, — თითქოს გატაცებად გვექცა სპორტული მოედნების მშენებლობა, მათ დატვირთვას კი ყურადღება მოვაკელით. მაგრამ ასე არ გაგრძელდება. მიზნად დავისახეთ ამ მიმართებითაც გავაუმჯობესოთ მუშაობა. ამ საქმეში ხელს შეგვიწყობს ფასიანი და გამაჯანსაღებელი ჯგუფების შექმნა. მეტი მოეთხოვებათ პროფკავშირულ ორგანიზაციებს, სპორტსკოლის მუშაკებს, ყველას, ვისაც ფიზკულტურასა და სპორტთან აქვს კავშირი. სულ სამი წელია, რაც ახალი გეგმით ვმუშაობთ, ბევრი რამ გაკეთდა და არც მომავალში ვაპირებთ პოზიციების დათმობას. ვეცდებით, უფრო სრულვყოთ მუშაობის ფორმები და მეთოდები".

ქალბატონმა ფოთოლამ მომავლის გეგმებიც გაგვანდო, მაგრამ, მოდით მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. ეს კია — დარწმუნებული ვარ არჩეული გეზი კიდევ ბევრი კეთილი საქმით გაახარებს ფოთელ სპორტის მოყვარულებს.

**ნუგზარ ქვანია,**
„ლელოს" სპეც. კორ.

ქ. ფოთი.

წიგნის თარო

# კარგი, მაგრამ მეტი გვჭირდებოდა

ფიზკულტურისა და სპორტის დარგში მომუშავე მეცნიერ მუშაკები, ისევე როგორც პრაქტიკოსი ინსტრუქტორები და სპორტსმენები, განებივრებული არა ვართ ჩვენი პროფილის ლიტერატურის გამოცემებით. ამიტომ სიხარულით შევხვდით პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს შეკვეთით „განათლების" მიერ დაბეჭდილ დოცენტ ა. დოკვაძის მეთოდურ სახელმძღვანელოს — „საწარმოო ფიზიკური კულტურა სოფლის მეურნეობის მშრომელთათვის".

ნაშრომში დამაჯერებლადაა განხილული საწარმოო ტანვარჯიში. კერძოდ, რა სარგებლობა მოაქვს მას ადამიანისათვის და, რაც მთავარია, მთლიანად წარმოებისათვის. როგორ იზრდება წარმოების პროდუქტულობა იქ, სადაც იგი ჯეროვან სიმაღლეზეა. საწარმოო ტანვარჯიშს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახლა, როდესაც დღის წესრიგშია გარდაქმნა ჩვენი ცხოვრების ყველა დარგში.

სახელმძღვანელოში აღწერილია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მშრომელთა საწარმოო ტანვარჯიშის კომპლექსთა აგების სქემები და სანიმუშო კომპლექსები. დილის ჩამზიდი ტანვარჯიშის, ფიზკულტურული პაუზებისა და ფიზკულტურული წუთების სანიმუშო კომპლექსები, რაც საშუალებას აძლევს ცალკეულ მეთოდისტებსა და საზოგადოებრივ ინსტრუქტორებს სწორად შეადგინონ კომპლექსთა ვარჯიშები მომუშავეთა სამუშაო მდგომარეობის, შრომითი ილეთებისა და ფიზიკური დატვირთვის გათვალისწინებით.

ამ მხრივ ნაშრომში დიდი ადგილი დაუთმია ავტორს ჩაის როგორც ხელით მკრეფავთათვის, ისე ჩაის საკრეფი მანქანის მძღოლთათვის, ტრაქტორისტებისათვის, მებოსტნეებისათვის, მწველავებისათვის, ავტომანქანის მძღოლებისათვის, პროფესიის ძირითადი ოთხი ჯგუფის წარმომადგენელთათვის, დიდი ფიზიკური დატვირთვის მქონე მუშებისა და აგრეთვე სხვადასხვა პროფესიის გონებრივი დარგის მუშაკთათვის.

ნაშრომში არის მეთოდური მითითებები, კომპლექსთა შესადგენად სამედიცინო-სანიტარული მომსახურების უზრუნველყოფისა და საწარმოო ტანვარჯიშის დაგეგმვისა და აღრიცხვის საკითხები.

ამასთან, ნაშრომში შეინიშნება ზოგიერთი დასანანი უზუსტობანი. ავტორის თქმით, თითქოს ჩვენს ქვეყანაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა თანდათან იზრდებოდეს და ბავშვთა სიკვდილიანობა მცირდებოდეს, რაც, როგორც ამ ბოლო დროს დადგინდა, ჯერჯერობით, სამწუხაროდ, პირიქითაა.

მართალია, ა. დოკვაძის ეს ნაშრომი ეხება სოფლის მეურნეობის მშრომელთა საწარმოო ფიზიკური კულტურის საკითხებს, მის შესავალ ნაწილში სასურველი იყო გაკეთებულიყო მოკლე მიმოხილვა იმ შრომებისა, რომლებიც აშუქებენ წარმოებაში ფიზიკური კულტურის საერთო თუ სპეციალურ საკითხებს. მხედველობაში მაქვს გ. მერკვილაძისა და სხვათა პუბლიკაციები, მათ შორის საზოგადოება „ცოდნის" მიერ გამოცემული ბროშურა (1958) საწარმო ფიზიკურ კულტურაზე, სადაც მოკლედაა გაშუქებული მისი, როგორც პედაგოგიკური, ისე სამედიცინო-ბიოლოგიური ასპექტები.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მარტო ქ. თბილისში 2000-ზე მეტი ფიზკულტურის კოლექტივია, ხოლო რესპუბლიკაში კი 8075, ამ სახელმძღვანელოს 1000 ეგზემპლარი, როგორც იტყვიან, წვეთია ზღვაში, მით უმეტეს, რომ ეს ნაშრომი მაღაზიებში გასაყიდად არ გამოსულა და მეთოდისტთა და საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა აბსოლუტურმა უმეტესობამ არ იცის ამ წიგნის არსებობის შესახებ. აქედან დასკვნა: საჭიროა ავტორმა იგი შეავსოს და ახალი რედაქციით წარადგინოს გამოსაცემად, ხოლო გამომცემლობამ გაითვალისწინოს მოსახლეობის მოთხოვნები და უფრო დიდი ტირაჟით გამოსცეს.

**პროფესორი ვასილ ელაშვილი.**



ფიზკულტურა სკოლაში! ბოლო ხანებში საქართველოს სახალხო განათლების სამინისტრომ მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები გაატარა სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში ფიზკულტურის სწავლების დონის ასამაღლებლად.
სურათზე: ფიზკულტურის გაკვეთილი თბილისის 56-ე საშუალო სკოლაში (ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო).

# ბოლო ტური გადაწყვეტს

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში მოეწყო დედაქალაქის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის გადადებული პარტიების დამთავრება. ამ დღეს მხოლოდ VI ტურის გადადებული პარტიები გათამაშდა. გთავაზობთ მათ ტექნიკურ შედეგებს: ლობჟანიძე-სიგუა — 1:0, მიქაელიანი-ჩიქოვანი — 1:0, დაბრუნდაშვილი-მესტვირიშვილი — 0:1.

7 ტურის შემდეგ 5-5 ქულითა და თითო-თითო გადადებული პარტიით ლიდერობენ დავით პაქსაშვილი და დავით ლობჟანიძე. შემდეგ მოდიან: გივი გოგიჩაიშვილი — 5, პაატა მესტვირიშვილი — 4,5, იური ჩიქოვანი — 4 (1), გია ცქიტიშვილი — 4.

**1971 წელს** და უფრო გვიან დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა რესპუბლიკურ პირველობაზე გაიმართა ბოლოსწინა, X ტურის შეხვედრები.

**გოგონები:** ნიკოლაძე-კემულარია — 1:0, მოდებაძე-ლომინეიშვილი — 0:1, გრიგალაშვილი-სახოკია — 0:1, როჭიკაშვილი-ხურცილავა — 0:1, ეძგვერაძე-ლებანიძე — 0,5:0,5, გადაიდო ფაჩულია-ღლონტის პარტია.

10 ტურის შემდეგ 9 ქულით შეჯიბრებას ერთპიროვნულად ლიდერობს სოფიკო ნიკოლაძე, რომელსაც ჩემპიონის სახელის მოპოვებისათვის ბოლო ტურში ყაიმიც ხელს აძლევს. მას კვალდაკვალ მიჰყვებიან ნატო ეძგვერაძე — 7,5 და მარინე ლებანიძე — 7 (1).

ძალზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ტურნირის ყველაზე უმცროსი მონაწილის, 11 წლის პირველთანრიგოსნის მაია ლომინეიშვილის დამაჯერებელი თამაში. მას ახლა 6 ქულა აქვს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა მოჭადრაკემ ტურნირში სძლია ისეთ ძლიერ ოსტატობის კანდიდატს, როგორიც შეჯიბრების ერთ-ერთი ლიდერი მარინე ლებანიძეა, ხოლო ლიდერთა ჯგუფის კიდევ ერთ წარმომადგენელთან, ნატო ეძგვერაძესთან ყაიმს მიაღწია.

**ჭაბუკები:** პოპოვი-კვარაცხელია — 1:0, გოგოლაძე-ყაშაშვილი — 1:0, კეკელიძე-იაშვილი — 1:0, მახარაშვილი-ხაბურზანია — 0:1, ჯანგობეგოვი-ტიკურიშვილი — 1:0, უთმელიძე-დგებუაძე — 0,5:0,5.

10 ტურის შემდეგ ლიდერობენ იანის პოპოვი — 8 (1) და დავით ტიკურიშვილი — 7. ალბათ სწორედ მათ შორის გადაწყდება თუ ვინ მოიპოვებს საქართველოს ჩემპიონის სახელს. შემდეგ მოდიან: კახა ხაბურზანია — 5,5, დიმიტრი ჯანგობეგოვი, გია გოგოლაძე — 5-5 (2-2).

**ვასილ ვაშალომიძე.**

დღის წესრიგშია საფეხბურთო კავშირი

# კავშირი შეიქმნა, მაგრამ...

ჩვენი ქვეყნის სპორტული საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით მოელოდა სსრკ საფეხბურთო კავშირის პირველ დამფუძნებელ კონფერენციას, რომელიც 13-14 დეკემბერს შედგა მოსკოვის სასტუმრო „სპორტის" საკონფერენციო დარბაზში. დამფუძნებელ კონფერენციაზე თავი მოიყარეს მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის ფეხბურთის სპეციალისტებმა, ამ დარგის მუშაკებმა, სპორტის ხელმძღვანელებმა, საფეხბურთო ფედერაციათა წარმომადგენლებმა.

დამფუძნებელმა კონფერენციამ დაადგინა, რომ ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას საფეხბურთო კავშირი. მაგრამ კავშირს აუცილებლად ესაჭიროება მტკიცე იურიდიული წესდება, რომელმაც უნდა განსაზღვროს კავშირის მუშაობის უმთავრესი ასპექტები. ამ წესდების პროექტი ამას წინათ გამოქვეყნდა პრესაში იმ მიზნით, რომ მის განხილვაში ფართო საზოგადოებრიობას მიეღო მონაწილეობა. გამოქვეყნდა მრავალი წერილი, პოლემიკის მონაწილეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ წესდებას მრავალი ნაკლოვანება აქვს, იგი სრულყოფილი არაა და შემდგომ დახვეწას საჭიროებს.

დამფუძნებელ კონფერენციაზე ეს დებატები გაგრძელდა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ წესდების პროექტი მრავალი ნაკლოვანებით ხასიათდება და შემდგომ დამუშავებას საჭიროებს. არჩეულია კომისია 25 კაცის შემადგენლობით, რომელმაც საფუძვლიანად უნდა იმუშაოს წესდების ახალ პროექტზე, 1989 წლის 15 იანვრისთვის განსახილველად წარადგინოს საფეხბურთო კავშირის ახალი წესდების პროექტი, იგი კვლავ უნდა გამოქვეყნდეს ფართო განხილვისთვის და უკვე შემდეგ, გაზაფხულისთვის დამტკიცდეს, ხოლო მერე არჩეული იქნება საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელობა.

მანამდე კი სსრ კავშირის 1989 წლის ჩემპიონატის ჩატარების სრული რწმუნება სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეროგატივაში დარჩა.

## საქართველოს პირველობა

**განვლილ კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო 42-ე ტურის მატჩები.**

**„მაღაროელი" (ჭიათურა) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 4:4. მსაჯი თ. ხოფრომაძე (თბილისი).** გოლები: ბრეგვაძე, სევასტოპულო-3 („მაღაროელი"), ჯინიყაშვილი-2, სილაგაძე, ქურცაძე („საპოვნელა").

**„სულორი" (ვანი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 3:2. მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი).** გოლები: კანკაძე-2, ა. დვალიშვილი („სულორი"), ი. ჯიოევი, გ. ხუბეჯიშვილი („სპარტაკი").

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ი. გობოზოვი („სპარტაკი").

**„დინამო" (ზუგდიდი) — „ივერია" (ხაშური) 7:2. მსაჯი ი. შალამბერიძე (თბილისი).** გოლები: გერგედავა-2, მალანია-2, შეროზია-2, ვ. თუთბერიძე („დინამო"), ნოზაძე, თევზაძე („ივერია").

**„მადნეული" (ბოლნისი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 2:3. მსაჯი ზ. დარჩია (თბილისი).** გოლები: ბად. უგულავა, ი. ჯაგოვი („მადნეული"), ვალაშვილი, თიგიშვილი, მექვევრიშვილი („ბახტრიონი").

**„სქური" (წალენჯიხა) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 2:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).** გოლები: ზარქუა, მოისწრაფიშვილი („სქური"), ლემონჯავა („სამეგრელო").

**„შადრევანი" (წყალტუბო) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 2:2. მსაჯი ა. შილაკაძე (თბილისი).** გოლები: ლ. ფესტვენიძე, ვ. ფესტვენიძე („შადრევანი"), ახვლედიანი, აფენდოპულო („ამირანი").

**„კოლხეთი" (ხობი) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 3:1. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).** გოლები: კაციტაძე, მელია-2 („კოლხეთი"), გოგიშვილი („ქართლი").

**„დინამო" (გაგრა) — „არმაზი" (მცხეთა) 0:1. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი).** გოლი: ყაჩლავაშვილი („არმაზი").

მსაჯთან სისტემატური კამათისთვის გააძევეს ა. ჩეკუნოვი („დინამო").

**„ეგრისი" (ცხაკაია) — „მეშახტე" (ტყიბული) 1:0. მსაჯი რ. ვერულაშვილი (თბილისი).** გოლი: ნოდია („ეგრისი").

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ი. შონია („ეგრისი").

**„სალხინო" (გეგეჭკორი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 4:3. მსაჯი ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი).**

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დურუჯი" (ყვარელი) 6:4 მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).** გოლები: ლაცაბიძე-3, გაზაშვილი, ჯულელი, ბაქრაძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი), მინდიაშვილი, ალავიძე, მექვაბიშვილი, პატარქალიშვილი („დურუჯი").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს მ. ლაცაბიძე, ხოლო მსაჯთან კამათისთვის ზ. ძაგანია (ორივე — ფიზკულტურის ინსტიტუტი).

ბომბარდირთა სიას სათავეში უდგას ა. სევასტოპულო — 42 გატანილი ბურთი (ჭიათურის „მაღაროელი"), ერთი ბურთით ნაკლები გაიტანა ხობის კოლხეთის მოთამაშემ ე. ქომეთიანმა, ზესტაფონის „მეტალურგის" ფეხბურთელ ნ. კიკნაძის ანგარიშზე 28 ბურთია.

### I ჯგუფი

### საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი" | 42 | 28 | 9 | 5 | 100-53 | 65 |
| „სულორი" | 42 | 26 | 7 | 9 | 76-47 | 59 |
| „დინ." ზ. | 42 | 23 | 10 | 9 | 104-61 | 56 |
| „ამირანი" | 42 | 19 | 9 | 14 | 73-57 | 47 |
| „შადრევ." | 42 | 17 | 9 | 16 | 66-62 | 43 |
| „დინ." გ. | 42 | 18 | 5 | 19 | 49-54 | 41 |
| „საპოვნ." | 42 | 16 | 9 | 17 | 66-65 | 41 |
| „სპარტ." | 42 | 15 | 11 | 16 | 75-65 | 41 |
| „მადნ." | 42 | 15 | 11 | 16 | 86-75 | 41 |
| „სამეგრ." | 42 | 19 | 2 | 21 | 75-79 | 40 |
| „მეტალ." | 42 | 16 | 8 | 18 | 77-76 | 40 |
| „მაღარ." | 42 | 16 | 7 | 19 | 72-76 | 39 |
| „სქური" | 42 | 16 | 7 | 19 | 69-69 | 39 |
| „ბახტრ." | 42 | 16 | 7 | 19 | 60-71 | 39 |
| „ივერია" | 42 | 15 | 9 | 18 | 51-69 | 39 |
| „არმაზი" | 42 | 14 | 11 | 17 | 56-65 | 39 |
| ფიზ. ინსტ. | 42 | 14 | 11 | 17 | 75-89 | 39 |
| „დურუჯი" | 42 | 13 | 13 | 16 | 54-61 | 39 |
| „სალხინო" | 42 | 15 | 7 | 20 | 63-77 | 37 |
| „ეგრისი" | 42 | 15 | 6 | 21 | 56-78 | 36 |
| „მეშახტე" | 42 | 13 | 10 | 19 | 45-64 | 36 |
| „ქართლი" | 42 | 10 | 8 | 24 | 50-85 | 28 |

**შენიშვნა: საბოლოო ადგილების განაწილებისთვის თანაბარი მოგების და ურთიერთშეხვედრებში ერთნაირი შედეგისთვის დებულებით გათვალისწინებულია ჯერ დისციპლინარულ დარღვევათა რაოდენობა და შემდგომ მიღებული და გატანილი ბურთების სხვაობა.**

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

### შოტლანდია

**მე-18 ტური.** „აბერდინი" — „ჰამილტონი" 1:1, „დანდი" — „ჰართსი" 1:1, „ჰიბერნიანი" — „სენტ მირენი" 2:0, „მოზერეული" — „სელტიკი" 1:3, „რეინჯერსი" — „დანდი იუნაიტედი" 0:1.

| | თ. | ქ. |
|---|---|---|
| „რეინჯერსი" | 18 | 27 |
| „აბერდინი" | 18 | 24 |
| „სელტიკი" | 18 | 23 |

### შვეიცარია

**21-ე ტური.** „არაუ" — „სიონი" 4:1, „ლოზანა" — „ქსამაქსი" 2:4, „ლუგანო" — „სერვეტი" 1:6, „ლუცერნი" — „ვეტინგენი" 2:1, „სენტ გალენი" — „ბელინცონა" 2:0, „იანგ ბოისი" — „გრასჰოპერსი" 4:2.

| | | |
|---|---|---|
| „ლუცერნი" | 21 | 28 |
| „გრასჰოპერსი" | 21 | 25 |
| „ბელინცონა" | 20 | 23 |

### ავსტრია

**22-ე ტური.** „კლაგენფურტი" — „გრაცერი" 3:1, „ლასკი" — „ავსტრია" 0:0, „ვიენა" — „შტეირი" 3:2, „ადმირა" — „ვინერ სკ" 2:1, „რაპიდი" — „სენტ პოლტენი" 4:0, „შტურმი" — „ტიროლი" 2:0.

| | | |
|---|---|---|
| „ტიროლი" | 22 | 33 |
| „ადმირა" | 22 | 31 |
| „ავსტრია" | 22 | 30 |

### ჰოლანდია

**მე-15 ტური.** „ტილბურგი" — „სიტარდი" 0:2, „დენ ბოში" — „ვეენდამი" 1:1, „ვოლენდამი" — „ცვოლე" 1:1, „მაასტრიხტი" — „ტვენტე" 0:1, „უტრეხტი" — „როდა" 3:2, „ჰაარლემი" — „აიაქსი" 0:1, დანარჩენი შეხვედრები გადაიდო.

| | | |
|---|---|---|
| „ეინდჰოვენი" | 14 | 23 |
| „სიტარდი" | 15 | 21 |
| „აიაქსი" | 15 | 20 |

### იტალია

**მე-8 ტური.** „ჩეზენა" — „ბოლონია" 2:0, „კომო" — „ასკოლი" 0:1, „მილანი" — „ლეჩე" 2:0, „ტორინო" — „ვერონა" 1:1, „ლაციო" — „ატალანტა" 0:1, „ნაპოლი" — „ფიორენტინა" 2:0, „პესკარა" — „ინტერი" 0:2, „პიზა" — „იუვენტუსი" 1:4, „სამპდორია" — „რომა" 0:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ინტერი" | 8 | 15-3 | 15 |
| „ნაპოლი" | 8 | 22-8 | 13 |
| „იუვენტუსი" | 8 | 19-11 | 11 |

### ესპანეთი

**მე-14 ტური.** „ოსასუნა" — „ელჩე" 1:1, „ხიხონი" — „ესპანიოლი" 2:1, „სან სებასტიანი" — „მალაგა" 2:2, „ბეტისი" — „კადისი" 1:1, „სარაგოსა" — „სევილია" 0:0, „ვალიადოლიდი" — „ბილბაო" 1:0, „ბარსელონა" — „ლოგრონიესი" 2:1, „ვალენსია" — „ოვიედო" 0:1, „რეალი" — „ატლეტიკო მადრიდი" 2:1.

| | თ. | ქ. |
|---|---|---|
| „რეალი" | 14 | 23 |
| „ბარსელონა" | 14 | 23 |
| „სევილია" | 14 | 18 |

### ბელგია

**მე-17 ტური.** „სტანდარდი" — „ანტვერპენი" 3:3, „გენკი" — „სენტ ტრიუდენი" 0:1, „ბეერსკოტი" — „ლიეჟი" 1:0, „შარლერუა" — „კორტრიკი" 2:1, „ვარეგემი" — „ლიერსი" 0:1, „ბევერენი" — „მეჰელენი" 1:1, „სერკლი" — „ანდერლეხტი" 1:3, „მოლენბეკი" — „ბრიუგე" 1:4, „რესინგი" — „ლოკერენი" 3:0.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „მეჰელენი" | 17 | 32-13 | 28 |
| „ანდერლეხტი" | 17 | 38-15 | 27 |
| „ლიეჟი" | 17 | 38-13 | 25 |

### საფრანგეთი

**21-ე ტური.** „სენ ჟერმენი" — „კანი" 1:0, „ნიცა" — „სტრასბურგი" 1:0, „სოშო" — „მარსელი" 0:0, „ოსერი" — „ლანი" 1:0, „კაენი" — „მეცი" 0:0, „ლილი" — „მონაკო" 2:4, „სენტ ეტიენი" — „რესინგი" 4:3, „ტულუზა" — „ლავალი" 0:0, „მონპელიე" — „ბორდო" 2:2, „ტულონი" — „ნანტი" 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სენ ჟერმენი" | 21 | 30-14 | 46 |
| „ოსერი" | 21 | 30-16 | 45 |
| „მარსელი" | 21 | 28-20 | 36 |

### პორტუგალია

**მე-16 ტური.** „პორტო" — „ნასიონალი" 3:0, „ბენფიკა" — „სეტუბალი" 2:0, „ბეირა" — „ბრაგა" 3:0, „ლეიქსოეში" — „შავიში" 0:0, „ვისეუ" — „პენაფიელი" 1:0 „ბელენენსეში" — „ამადორა" 1:0, „პორტიმონენსე" — „ესპინიო" 0:0, „გიმარაეში" — „ფაფე" 2:0, „ფარენსე" — „სპორტინგი" 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა" | 16 | 22-5 | 26 |
| „პორტო" | 16 | 15-6 | 23 |
| „სპორტინგი" | 16 | 22-12 | 21 |

### გფრ

**მე-17 ტური.** „კიოლნი" — „მანჰეიმი" 1:0, „კაიზერსლაუტერნი" — „ლევერკუზენი" 0:0, „შტუტგარტი" — „ვერდერი" 3:3, „კარლსრუე" — „დორტმუნდი" 0:0, „ფრანკფურტი" — „ჰანოვერი" 1:0, „ბოხუმი" — „ბაიერნი" 0:0, „ნიურნბერგი" — „კიკერსი" 3:3, „იურდინგენი" — „სენტ პაული" 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბაიერნი" | 17 | 33-11 | 26 |
| „ვერდერი" | 17 | 31-18 | 23 |
| „კიოლნი" | 17 | 29-12 | 22 |

(საქ. ინფ.)

# ბილიარდის დაბრუნება

მკითხველი — გაზეთი

**ძვირფასო რედაქცია!**

**ჩვენი ქალაქის ახალგაზრდობა ძალიან დაინტერესებულია ბილიარდით — ჩვენი ღრმა რწმენით, სპორტის ერთ-ერთი საინტერესო სახეობით. ამიტომ დიდი მოწონებით შევხვდით ცნობას ბილიარდის კვლავ დაბრუნებისა და საკავშირო ფედერაციის შექმნის თაობაზე.**

**გვაინტერესებს ყველაფერი, რაც კი ბილიარდს ეხება — სპეციალური ლიტერატურა, პუბლიკაციები ჟურნალ-გაზეთებში და სხვა.**

**გურამ კვარაცხელია.**

გაგრა.

**სამწუხაროდ,** წლების მანძილზე ბილიარდი — მართლაც რომ სპორტის საინტერესო სახეობა, რომელიც კარგ ფიზიკურ მომზადებას მოითხოვს (თურმე მოთამაშენი შეჯიბრების დროს მაგიდის გარშემო 30 კილომეტრს „გადიან"), მოქნილობას, ძალას, კოორდინაციას, სიზუსტეს — ჩვენს ქვეყანაში, ასე ვთქვათ, „თამაშგარე მდგომარეობაში" იყო. მას აზარტულ, არასასურველ თამაშად მიიჩნევდნენ. ორმოცდაათიანი წლებიდან დევნაც კი დაუწყეს, დაიხურა ბევრი საბილიარდო, მას მხოლოდ ცალკეული კლუბები თუ სწყალობდნენ. სხვათა შორის, ასეთი რამ ისტორიაში უკვე იყო — 1760 წელს ინგლისში მეფე გიორგი II დროს ტრაქტირებში ბილიარდზე თამაშისათვის აჯარიმებდნენ 10 ფუნტი სტერლინგით.

დღეს ბილიარდი აღიარებულია ოფიციალურ სპორტის სახეობად, შექმნილია საკავშირო ფედერაცია, ვფიქრობთ, სპეციალური ლიტერატურაც გაჩნდება. მანამდე ჩვენთან მის შესახებ კანტი-კუნტად იწერებოდა (ჟურნალები „ნაუკა ი ჟიზნი", „სპორტივნაია ჟიზნ როსიი", „სპორტ ვ სსსრ" და სხვა).

დღეს გთავაზობთ საკუთარ მასალას ბილიარდზე, ვფიქრობთ, ის გარკვეულ ინტერესს გამოიწვევს სპორტის ამ სახეობის მოყვარულთა შორის.

### ბილიარდი

**1891 წელს** გაზეთი „იტალია" იუწყებოდა, რომ ბრიტანეთის მუზეუმმა შეიძინა 1750 წლის მეტად საინტერესო საბუთი, რომლის მიხედვით ლონდონის ერთ-ერთი გამსესხებელი სალაროს მფლობელს ვინმე ვილიამ კიუმსოს გამოუგონია ახალი თამაში — ბილიარდი, მისი სახელწოდებაც აქედან მოდის — ვილის (ბილის) იარდიო. ეს ინფორმაცია არ იყო სწორი. მანამდე ბილიარდს თავის გამოგონებად თვლიდა საფრანგეთი, სადაც ბილიარდი დიდად პოპულარული იყო. მაგრამ ბილიარდის სამშობლოდ მაინც... ჩინეთი და ინდოეთი ითვლება. ბილიარდი ევროპაში XVI საუკუნეში შემოვიდა. აი, თვით სახელწოდება — „ბილიარდი" კი ფრანგულია (ბილე — ბურთულა და იარდი — სიგრძის ზომაა). საინტერესოა, რომ ბილიარდს იცნობდა უილიამ შექსპირიც („ანტონიოსი და კლეოპატრა"). საფრანგეთის მეფე კარლოს IX ბილიარდს თამაშობდა ბართლომეს ღამეს (1572 წლის 24 აგვისტო), როდესაც კათოლიკებმა პარიზში ამოწყვიტეს ჰუგენოტები.

ლუდოვიკო XIV დროს საფრანგეთში ბილიარდი მეფის სპეციალური ნებართვით იყიდებოდა, რადგანაც იგი არისტოკრატთა პრივილეგია იყო.

ისტორიამ შემოგვინახა ბილიარდის ცნობილი მოთამაშეების სახელები. ერთ-ერთი მათგანი იყო ლუდოვიკო XVI მინისტრი შამილე[illegible]არი. [illegible] (ერთი [illegible]რტყმა, როდესაც ბურთი ხვდება ჯერ მეორე ბურთს, მერე, უკან წამოსული კი — მესამეს) დახელოვნებული ოსტატი ყოფილა.

ევროპის გაზეთების ცნობით, XIX საუკუნის ბოლოს ცნობილი მობილიარდე ყოფილა ჰუგო კერკაუ. 1899 წელს მან ლონდონში ძლიერ პროფესიონალ მობილიარდეებთან შეჯიბრებაში მოხსნა მსოფლიო რეკორდი: ოთხი საათის მანძილზე ერთიმეორეზე მიყოლებით გააკეთა 4285 კარამბოლი. 1901 წელს ჰუგო კერკაუს კვლავ გაუმარჯვია ციურიხში. აქ ერთმანეთს შეხვედრიან კერკაუ და მეორე არანაკლებ ცნობილი მოთამაშე ჟან ბრიუნო. ეს ცნობა ევროპული გაზეთებიდან გადმოულია გაზეთ „ივერიას" 1901 წელს (№ 218): „ბილიარდის მეფეებად, უპირველეს მოთამაშეებად დღეს ევროპაში ჰუგო კერკაუ და ჟან ბრიუნო ითვლებიან. ამას წინათ, ეს ორი მოთამაშე გაჯიბრებიან ციურიხში. გაუმარჯვნია ჰუგო კერკაუს, რომელსაც ერთხანად, გაუცდენლად 7.556 კარამბოლი გაუკეთებია. აქამდე შეუცდენლად 3.000 კარამბოლზე მეტი არავის გაუკეთებია". რასაკვირველია, კარამბოლის რიცხვები არაზუსტი ჩანს და გადამეტებულია, მაგრამ ჰუგო კერკაუს სახელი, როგორც ცნობილი მოთამაშისა, ეჭვს არ იწვევს.

რუსეთში ბილიარდის თამაში პეტრე პირველმა შემოიტანა ჰოლანდიიდან. საინტერესოა, რომ იმხანად ბურთებს ჩაქუჩს ურტყამდნენ ჯოხის („კიი") ნაცვლად. ბილიარდის თამაში საერთაშორისო წესების მიხედვით XIX საუკუნიდან გავრცელდა. ბილიარდი ნახსენები აქვს პუშკინს („კაპიტანის ქალიშვილი"). თვით პოეტი ბილიარდის საუკეთესო მოთამაშე იყო.

გასულ საუკუნეში რუსეთში ბილიარდის ცნობილი მოთამაშეები იყვნენ ი. ს. კობელევი, ინფანტერიის გენერალი დ. ბიბიკოვი (მან ბოროდინოს ბრძოლის დროს დაკარგა მარცხენა ხელი, მაგრამ ყოველდღიური ვარჯიშის წყალობით დიდ წარმატებას მიაღწია), გენერალი ოსტერმან-ტოლსტოი და სხვ.

საბჭოთა კავშირში 1941 წლამდე ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტთან არსებობდა საბილიარდო სექცია.

ჩვენში მასობრივი ტურნირები ბილიარდში 1935 წელს დაიწყო. 1937 წლიდან კი ქვეყნის ჩემპიონატები ტარდებოდა. ეწყობოდა ქალაქის პირველობები თბილისშიც, კერძოდ ფუნიკულორის პლატოზე. ქვეყნის ბოლო საკავშირო ჩემპიონატი 1949 წელს გაიმართა. გამოდიოდნენ „დინამოს", „სპარტაკისა" და სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის გუნდები.

ომამდე ცნობილი მოთამაშეები იყვნენ: ნიკოლაი ბერეზინი, ნიკოლაი კობზევი, ალექსანდრ მილიაევი და სხვები, რომლებსაც შემდგომ სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ.

ოთხი ათეული წლის შემდეგ ბილიარდი კვლავ დაგვიბრუნდა. გასული წლის დამლევს მოსკოვში გაიმართა საკავშირო ტურნირი — შეიკრიბა 12 ქალაქის 26 ოსტატი.

დღეს ბილიარდი მოქალაქეობრიობის სრული უფლებით სარგებლობს. უკრაინასა და ბელორუსიაში მის სათამაშო მაგიდებს ამზადებენ, ხოლო ნიჟნი ტაგილსა და დნეპროპეტროვსკში — პლასტიკურ ბურთულებს („შარებს").

**ხულიკო ნუცუბიძე.**

# არგენტინაშიც, ბრაზილიაშიც...

ფეხბურთის მოყვარულებს, ალბათ, ახსოვთ, რომ საკავშირო ჩემპიონატში ერთხანს არსებობდა ასეთი წესი: თუ კალენდარული მატჩი ფრედ დამთავრდებოდა, გამარჯვებულის გამოსავლენად ნიშნავდნენ დამატებით 11-მეტრიანებს. შემდგომში ეს ექსპერიმენტი აღარ გავრცელებულა, ჩვენი ჩემპიონატიც ნორმალურ ფორმულას დაუბრუნდა.

გავიდა ხანი და ამგვარივე წესი შემოიღეს არგენტინის ფეხბურთში, იქაც აღკვეთეს ფრე და გადაწყვიტეს ყველა მატჩი შედეგიანი ყოფილიყო. არგენტინელებს შემდგომში ბრაზილიელებმაც მიბაძეს. სულ ახლახან იქ დაიწყო ეროვნული ჩემპიონატი, რომლის პირველ ეტაპზე ორ ჯგუფად დაყოფილი 24 კლუბი გამოდის. თუ ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩი ფრედ დამთავრდა, ინიშნება დამატებითი პენალტების სერია. აქ ახლა ასეთი წესია: ძირითად დროში გამარჯვებისთვის კლუბს ერიცხება 3 ქულა, დამატებითი პენალტებით გამარჯვებულს — 2 ქულა და პენალტებით დამარცხებულს — ერთი ქულა (ძირითად დროში დამარცხებულ გუნდს ქულა არ ეწერება).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲨᲘ

# ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი.

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.** ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო" და ვილნიუსის „სტატიბა", გუნდები, რომლებსაც დღეს-დღეობით სატურნირო ცხრილის მესამე და მეოთხე საფეხურები უკავიათ. შინ დინამოელები ქულებს იშვიათად კარგავენ, მაგრამ ამ მატჩში სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდნენ. პირველი ნახევარი მასპინძლებმა 6 ქულით მოიგეს, მეორეში მას კიდევ 3 ქულა წაუმატეს და საბოლოო ჯამში გაიმარჯვეს ანგარიშით 106:97 (59:53). მოსკოველებმა სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე გადაინაცვლეს.

**ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ**

**მდგომარეობა 14 დეკემბრისთვის**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ასკ (ალმა-ათა) | 14 | 9 | 5 | 1359-1325 | 23 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 13 | 8 | 5 | 1293-1236 | 21 |
| ცსკა | 10 | 10 | 0 | 1019-798 | 20 |
| „სტატიბა" (ვილნ.) | 13 | 5 | 8 | 1180-1133 | 18 |
| „სპარტაკი" (ლენ.) | 12 | 5 | 7 | 967-1044 | 17 |
| „კალევი" (ტალინი) | 12 | 5 | 7 | 1009-1036 | 17 |
| ვეფ (რიგა) | 14 | 2 | 12 | 1221-1426 | 16 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 8 | 7 | 1 | 800-731 | 15 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 8 | 7 | 1 | 754-687 | 15 |
| რტი (მინს.) | 10 | 5 | 5 | 848-843 | 15 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 12 | 3 | 9 | 903-1014 | 15 |
| „დინამო" (თბილ.) | 12 | 3 | 9 | 1024-1113 | 15 |

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲐᲙᲚᲣᲑᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ

# ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲮᲓᲐ

გაიმართა კალათბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მორიგი მატჩები.

**ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ.** აქ ერთმანეთს შეხვდნენ II ჯგუფის წარმომადგენლები, ადგილობრივი „ციბონა" და კაუნასის „ჟალგირისი".

ხუთი ათასზე მეტი მაყურებელი ადევნებდა თვალს ამ დრამატულ შეხვედრას, რომლის ბედი დიდხანს თითქოს ეჭვს არ იწვევდა. ტაიმი იუგოსლაველებმა მოიგეს 12 ქულით — 58:46.

შესვენების შემდეგაც დიდხანს ინიციატივას „ციბონას" კალათბურთელები ინარჩუნებდნენ. მატჩის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე მათი უპირატესობა 22 ქულას (93:71) შეადგენდა. მაგრამ აი, სწორედ აქ მოხდა სასწაული. დარჩენილი დრო „ჟალგირისმა" მოიგო ანგარიშით 33:8 და საბოლოოდ გამარჯვებაც მოიპოვა — 104:101. კურტინაიტისმა ამ მატჩში თავის კოლექტივს 23 ქულა შესძინა, ხომიჩიუსმა — 21, საბონისმა — 18.

ამ ტურნირის სხვა მატჩები ასე დამთავრდა:

**ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ.** „შოლე" (საფრანგეთი) — „ჰაპოელი" (ისრაელი) 78:87, „რეალი" (მადრიდი) — „შნაიდერო" (იტალია) 109:92. ჯგუფში ჯერჯერობით „რეალი" ლიდერობს — 2 გამარჯვება. „ჰაპოელს" და „შნაიდეროს" თითო შეხვედრა აქვთ მოგებული, „შოლეს" — არც ერთი.

**ᲛᲔᲝᲠᲔ ᲯᲒᲣᲤᲘ.** „სტეინერი" (გფრ) — აეკ (საბერძნეთი) 89:67. გათამაშებას ლიდერობენ „სტეინერი" და „ჟალგირისი" 2-2 გამარჯვება. „ციბონასა" და აეკ-ს ჯერ არც ერთი მატჩი არ მოუგიათ.

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲕᲔᲩᲔᲠᲜᲘ ᲢᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ" ᲞᲠᲘᲖᲖᲔ

# ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲜᲡ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ინტერესს იწვევს კუბელთა გამოსვლა. მათი დებიუტი მართლაც შთამბეჭდავი იყო, რადგან პირველი დღის დილის ორთაბრძოლებში მეორე საშუალო წონის ვ. გარბეის (75 კგ) ზუსტად 30 წამი დასჭირდა უნგრელი მეტოქის რ. ვარმას დასამარცხებლად. თანამემამულეს ღირსეულად აუბა მხარი საღამოს შეხვედრებში პირველი უმჩატესი წონის (48 კგ) ე. ვარიენტოსმა, რომელმაც მესამე რაუნდში ეფექტურად, აშკარა უპირატესობით დაამარცხა საბჭოთა ნაკრების წევრი ა. ერგეშოვი. მაგრამ მომდევნო ბრძოლებში გამოვლინდა, რომ კუბელები ტურნირის ნამდვილი ფავორიტები და მთლად უვნებადნი არ არიან. მათი ტრიუმფალური წინსვლა საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებმა შეაჩერეს. პირველად ეს პირველი ქვესაშუალო წონის კ. კარპეევმა შეძლო, როცა ხოსე სანჩესს აჯობა სამივე რაუნდში, შემდეგ მძიმე წონის ა. გონჩარენკომ დაჯაბნა უ. ჩარჩავალი. რაც შეეხება მასპინძელთა გამოსვლებს, მათ ვერაფრით დაამახსოვრეს თავი გულშემატკივრებს. ქუთაისელ ნოდარ ესებუას (54 კგ) მხოლოდ პირველ რაუნდში ეყო გამძლეობა, შემდეგ კი უპირატესობა მთლიანად გადაულოცა კიშინიოველ მეტოქე ი. ჩორნეის. ა. ოჩიგავას (75 კგ) კი წარმატების გარკვეული შანსი ჰქონდა სპორტსკოლების საკავშირო თამაშების გამარჯვებულ მ. შილოვთან შეხვედრაში, მაგრამ ფოთელმა მოკრივემ არასწორი ტაქტიკით ააგო ბრძოლა. იმის მაგიერ, რომ განევითარებინა იერიშები და ლოგიკურ დასასრულამდე მიეყვანა იგი, შუა გზაზე ჩერდებოდა და მეტოქეს საპასუხო დარტყმების საშუალებას აძლევდა.

მასპინძელთაგან ვერც ო. მარტიროსოვმა (63,5) და ჭიათურელმა თ. ბუაძემ (81) ისახელეს თავი და შესაბამისად დამარცხდნენ ნ. ატაევთან (სსრ კავშირის ნაკრები) და მ. ვიტგერთან (გდრ) შეხვედრებში.

საღამოს ბრძოლებში ისევ მძიმეწონოსანმა თბილისელმა, ამჯერად ა. ბურდიანცმა (+91) შეძლო გამარჯვების მოპოვება. მან დამაჯერებლად დაამარცხა საბჭოთა ნაკრების წევრი ვ. ბაბენკოვი.

**ᲒᲣᲨᲘᲜ** მასპინძლებმა, პირველი დღისაგან განსხვავებით, საგრძნობლად გამოუკეთეს თავიანთ ქომაგებს გუნება-განწყობილება. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ამ დღეს საქართველოს ნაკრების სამივე წევრმა დამაჯერებლად სძლია თავის მეტოქეებს; მთავარია, რომ ეს გამარჯვებები, რომლებიც უშეღავათო ორთაბრძოლებშია მოპოვებული, იმედის მომცემია, რომ მათს „ავტორებს", რა თქმა უნდა, თუ ეს ახალგაზრდა სპორტსმენები მთელი სერიოზულობით მოეკიდებიან [illegible] ყოთას, შეუძლიათ სულ მალე ჩადგნენ ქვეყნის მოწინავე მოკრივეთა რიგებში.

აი, ასეთი შთაბეჭდილება შექმნეს ქვემსუბუქი წონის (57) მოკრივემ კახაბერ ჩიქვილაძემ, რომელმაც მოხდენილად წარმართა ბრძოლა სსრ კავშირის ნაკრების წევრ რ. ვოდიანიცკის წინააღმდეგ, ვაგიფ აბასოვმა (67 კგ), რომელმაც სძლია უნგრელ შ. ფორგაჩს და ქუთაისელმა აკაკი კაკაურიძემ. ამ უკანასკნელმა სსრ კავშირის ნაკრების წევრი, ფიზიკურად ძლიერი ვ. ფედოტოვი დაამარცხა.

ასპარეზობა გრძელდება.

**ᲣᲨᲐᲜᲒ ᲰᲘᲰᲘᲜᲐᲫᲔ.**



თბილისის რინგის პერიპეტიები.





ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲙᲠᲘᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ

**ᲙᲚᲐᲠᲐ** სამანიეგოს 9 შვილი ჰყავდა. ერთი სამი წლისა გარდაიცვალა გულის ავადმყოფობით, რობერტო კი იზრდებოდა ჯანმრთელი, ღონიერი, თუმცა ცხოვრება არ ათამამებდა. ოჯახს ძალიან უჭირდა, ყოველთვის აკლდა ფული. სკოლა ადრე მიატოვა და მუშაობას შეუდგა. ისეთ ბიჭს კი, როგორიც რობერტო იყო, პანამასიტში ყველაზე ადვილად შეეძლო ეშოვა... ფეხსაცმლის მწმენდავის ადგილი. ფეხსაცმელების გაპრიალებაზე ნაკლებად არ მოეთხოვებოდა მას მოკრივის გამჭრიახობა და ბრძოლის უნარი სასტუმროს წინ საუკეთესო ადგილის შესარჩევად. რობერტო უფროს ბიჭებთანაც კი იმარჯვებდა ქუჩურ შეტაკებებში.

მისი ჩხუბი ნახა ერთ-ერთმა მწვრთნელმა. იგი მოელაპარაკა ბიჭს, რომ მისულიყო დარბაზში. ასე დაიწყო მშფოთვარე კარიერა ერთ-ერთი გამოჩენილი პროფესიონალი მოკრივისა.

„ქვის მუშტი", „მოკრივე ყუმბარიანი ხელთათმნით", „პანამელი ჩხუბის თავი". ასე ეჯიბრებოდნენ ჟურნალისტები ერთმანეთს დიურანისათვის ზედმეტი სახელების შერქმევაში. ყველაზე უკეთ პირველი მოერგო. მართლაც, ჭაბუკი ისე ურტყამდა მეტოქეებს, თითქოს ქვის მუშტი ჰქონდა.

თხუთმეტი წლისა რომ გახდა, ხელი მოაწერა კონტრაქტს პანამელ მილიონერთან — კარლოს ელეტასთან, რომელმაც კრივის სამყაროსთვის მანამდე უცნობი ახალგაზრდის მენეჯერობა იკისრა. ეს კავშირი 10 წლის განმავლობაში არ დარღვეულა და ორივე მხარეს 40-40 მილიონი დოლარი შესძინა.

1971 წელს დიურანმა დაამარცხა პირველი მეტოქე — კარლოს მენდოზა, რომლის ბედი გაიზიარა მომდევნო 8 მეტოქემ, თანაც ყველა ნოკაუტით დაჯაბნა. 20 წელი რომ შეუსრულდა, უკვე დამარცხებული ჰყავდა 27 მეტოქე, მათ შორის 23 — ნოკაუტით. ამ ბრწყინვალე ბალანსს არ შეიძლებოდა მსოფლიო კრივის მესვეურთა ყურადღება არ მიექცია.

1972 წლის 26 ივნისს „მედისონ სკვერ გარდენში" შედგა დიურანის შეხვედრა მსუბუქ წონაში მაშინდელ ჩემპიონთან, შოტლანდიელ კენ ბაჩენანთან. ბაჩენანი გამოცდილი პროფესიონალი იყო, მაღალი კლასის მოკრივე და ფავორიტად ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, ეს შეხვედრა დიურანმა მე-13 რაუნდში ნოკაუტით მოიგო. თუმცა გამარჯვების სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. ბაჩენანი და მისი სეკუნდანტები აცხადებდნენ, რომ მანოკაუტირებელი დარტყმა დიურანმა ბაჩენანს წელს ქვევით მიაყენა. გაიმართა მწვავე პოლემიკა პრესაშიც, თანაც ჟურნალისტთა უმეტესობა შოტლანდიელის მხარეზე იყო. ამ არეულობაში ყველამ დაივიწყა, რომ მთელი შეხვედრის მანძილზე დიურანი ჯაბნიდა მეტოქეს. ამ შეხვედრის შემდეგ კრივის მესვეურნი დარწმუნდნენ, რომ დაიბადა პროფესიული კრივის ახალი ვარსკვლავი.

იგი 12-ჯერ გამოვიდა რინგზე ასეთ ძნელ პირობებში მოპოვებული ტიტულის დასაცავად და მხოლოდ ერთხელ — ედვინ ვირუეტთან შეხვედრაში იბრძოლა 15 რაუნდი. დანარჩენ შეხვედრებში ნოკაუტით გაიმარჯვა ვადამდე. უკვე მაშინ დაიწყეს ლაპარაკი მის შეხვედრაზე პროფესიული კრივის ამომავალ ვარსკვლავთან, მუჰამედ ალის მემკვიდრესთან — საგერ რეი ლეონარდთან. ეს

# ᲞᲐᲜᲐᲛᲔᲚᲘ ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲚᲘᲡ ᲛᲬᲛᲔᲜᲓᲔᲚᲘ

უნდა ყოფილიყო ნამდვილად „საუკუნის ბრძოლა". და მართლაც, „ქვის მუშტის" შეხვედრა „ტკბილ რეისთან" კრივის ისტორიაში შევიდა.

ბრძოლას მონრეალის ოლიმპიურ სტადიონზე 50 ათასამდე მაყურებელი დაესწრო. მილიონობით კი — ტელევიზიით უყურებდა ამ შეხვედრას. კრივის ახალი და ძველი ვარსკვლავების ორთაბრძოლას მაყურებელი არ გაუწბილებია. დიურანი, ჩვეულებისამებრ, პირველი გონგიდანვე სდევდა მეტოქეს, არ აძლევდა მას ამოსუნთქვის საშუალებას, უტევდა და უტევდა...

დიურინმა ქულებით გაიმარჯვა!

— ამ შეხვედრის შემდეგ გავლენა დავკარგე რობერტოზე, — აღიარა შემდეგ მისმა მენეჯერმა — კარლოს ელეტამ. რობერტო სვამდა, დროს ატარებდა. მოკლე დროში მოიმატა 18 კილოგრამი. დიურანი ტკბებოდა ცხოვრებით, ლეონარდი კი წყნარად, მონდომებით ემზადებოდა რევანშისათვის.

მალე გამოირკვა, რომ ლეონარდს საჭირო დასკვნები გაეკეთებინა პირველი დამარცხების შემდეგ.

— რობერტო მას მხოლოდ მაშინ მოიგდებდა ხელთ, რინგი რომ ტელეფონის ჯიხურისოდენა ყოფილიყო. — ასე განმარტა რობერტოს უშედეგო ბრძოლა მისმა ერთ-ერთმა სეკუნდანტმა.

გაწურვთული რეი გამარჯვებასთან ახლოს იყო. იგი იმდენად გათამამდა, რომ მეტოქის დარტყმებს თავსაც კი უშვერდა, მაგრამ დიურანს ძალა გამოელია და მეტოქის ერთ-ერთი შეტევის შემდეგ იგი დაეცა. ეს მოხდა მერვე რაუნდში. მსაჯმა გამოაცხადა ამერიკელის გამარჯვება.

ამ მომენტიდან დაიწყო „ქვის მუშტის" დაცემა, თუმცა რობერტოს ისე ეჭირა თავი, თითქოს არაფერი მომხდარაო. სინამდვილეში მწარედ განიცდიდა დამარცხებას. უარესი წინ იყო...

განწირულმა დიურანმა მიმართა კონკურენტს — კინგ-ბობ არუმას, რომ კიდევ ერთი შანსი მიეცათ მისთვის. არუმამ გარისკა... და მხოლოდ 20 ათას დოლარი შესთავაზა ჯიმი ბეტენთან ბრძოლაში. მოკრივისთვის, რომელიც ერთ ბრძოლაში რამდენიმე მილიონს იდებდა ჯიბეში, ეს სილის გარტყმას ნიშნავდა. მაგრამ დიურანს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა.

დიურანმა ბეტენი ქულებით დაამარცხა, შემდეგ 4 რაუნდში ნოკაუტში ჩააგდო მსოფლიოს ექსჩემპიონი პიპინო კევასი და მხოლოდ ამის შემდეგ შეახვედრა იგი არუმამ მსოფლიოს ჩემპიონს იუნიორთა შორის საშუალო წონაში — ამერიკელ დევი მურს. მაყურებლებმა იხილეს ისევ ძველი დიურანი, რომელმაც 8 რაუნდში ნოკაუტით მოუგო მურს.

ამ წარმატების შემდეგ დიურანის კოლექციაში უკვე მსოფლიო ჩემპიონის 3 ტიტული იყო. ისტორიაში ეს მხოლოდ რამდენიმე მოკრივემ შეძლო. რობერტომ გადაწყვიტა უფრო მეტისთვის მიეღწია — მოეპოვებინა მეოთხე ტიტულიც.

ამჯერად მის წინ დადგა ჩემპიონთა ჩემპიონი, თანამედროვეობის უდიდეს მოკრივედ მიჩნეული მერვინ ჰეგლერი. 15-რაუნდიანი შეხვედრა ამერიკელმა მინიმალური უპირატესობით მოიგო.

საკვირველია, მაგრამ ამ ბრძოლის შემდეგ პრესისა და მაყურებლების გმირი გამარჯვებული ჰეგლერი არ გამხდარა. პანამელის მამაცობამ, მისმა გაბედულებამ და სულის სიმტკიცემ მაყურებლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მართალია, მან წააგო, ჰონორარიც ჰეგლერზე 2-ჯერ ნაკლები მიიღო (4 მილიონი დოლარი ჰეგლერის 8 მილიონთან შედარებით), მაგრამ რინგიდან იგი თავაწეული გამოვიდა, იმ დროს, როდესაც ჰეგლერი არ მალავდა იმედისგაცრუებასა და სიშმაგეს.

ამის შემდეგ დიურანმა მხოლოდ ერთი ბრძოლა ჩაატარა და წააგო იგი ნოკაუტით მსოფლიო ჩემპიონთან — ტომას ჰირნსთან.

ცოტა ხნის წინათ დიურანმა დაასრულა დრამატიზმით აღსავსე სპორტული კარიერა. სულ ჩაატარა 82 ბრძოლა, რომელთაგანაც 76 მოიგო (57 ნოკაუტით) და 6 წააგო. და ალბათ, მისი სახელი სამუდამოდ დარჩება უმაღლესი რანგის მოკრივეთა სახელებს შორის.

**ᲐᲜᲯᲔᲘ ᲙᲝᲡᲢᲘᲠᲐ,**
**„ᲡᲞᲝᲠᲢᲝᲕᲔᲪᲘ" (ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ).**

**თარგმნა ᲔᲚᲕᲐᲠᲐ ᲮᲐᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ.**

# ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘ ᲛᲔᲮ-ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲡ

**ᲡᲐᲜ-ᲓᲘᲔᲒᲝ (აშშ, კალიფორნიის შტატი).** ევროპის ჩემპიონს 400 მეტრზე რბენაში ინგლისელ დევიდ ჯენკინსს ქალაქის სასამართლომ 7 წლის პატიმრობა და 75 ათასი დოლარი ფულადი ჯარიმა მიუსაჯა.

როგორც გაირკვა, 1972 წლის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ჯენკინსი აშშ-ში ანაბოლიური სტეროიდებით მოვაჭრე მაფიის ერთ-ერთი თავკაცი ყოფილა. აკრძალული პრეპარატები ამ ორგანიზაციას მექსიკიდან შემოჰქონდა. „ჯენკინსის გუნდი" აშშ-ს სადოპინგო ბაზრის 70 პროცენტს აკონტროლებდა. მისი შემოსავალი წლიურად, ექსპერტების აზრით, 100 მილიონ დოლარს შეადგენდა.

**რედაქტორი Თ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.**



**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ**

17-21 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

**ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲫᲘᲣᲓᲝᲨᲘ**



მონაწილეობენ ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკის უძლიერესი სტუდენტი ძიუდოისტები.

ბილეთები იყიდება ყოველდღიურად სპორტის სასახლის სალაროებში 11-დან 19 სათამდე.

მიიღება განცხადებები კოლექტიურ დასწრებაზეც.

დასაწყისი 11 საათზე.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
ხამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-43,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ
66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით სავაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10984